

შპს მედ პროჯექტ

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
5. სავაჭრო მოთხოვნები	11
6. გადახდილი ავანსები	11
7. ძირითადი საშუალებები	11
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	13
9. სესხები	13
10. კაპიტალი	13
11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	63,741	199,193
სავაჭრო მოთხოვნები	5	967,444	832,879
გადახდილი ავანსები	6	29,088	85,680
მარაგები		31,778	54,834
სხვა მიმდინარე აქტივები		48,086	29,908
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,140,137	1,202,494
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,175,311	1,031,357
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	136,625
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,175,311	1,167,982
მთლიანი აქტივები		2,315,448	2,370,476
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	214,012	215,357
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		568	12,500
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,903	1,903
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		216,483	229,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	430,011	554,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		85,000	85,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		515,011	639,892
მთლიანი ვალდებულებები		731,494	869,652
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,242,954	1,159,824
სულ საკუთარი კაპიტალი	10	1,583,954	1,500,824
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,315,448	2,370,476

დირექტორი




ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	63,741	199,193
სავაჭრო მოთხოვნები	5	967,444	832,879
გადახდილი ავანსები	6	29,088	85,680
მარაგები		31,778	54,834
სხვა მიმდინარე აქტივები		48,086	29,908
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,140,137	1,202,494
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,175,311	1,031,357
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	136,625
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,175,311	1,167,982
მთლიანი აქტივები		2,315,448	2,370,476
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	214,012	215,357
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		568	12,500
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,903	1,903
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		216,483	229,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	430,011	554,892
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		85,000	85,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		515,011	639,892
მთლიანი ვალდებულებები		731,494	869,652
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		341,000	341,000
გაუნაწილებელი მოგება		1,242,954	1,159,824
სულ საკუთარი კაპიტალი	10	1,583,954	1,500,824
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,315,448	2,370,476

დირექტორი

ალექსი ჩინჩალაძე

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	1,645,830	1,805,953
რეალიზებული საქონლის	11	(797,479)	(727,880)
თვითღირებულება			
საერთო მოგება		848,351	1,078,073
მიწოდების ხარჯები		(19,528)	(17,851)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(483,506)	(472,650)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(158,655)	(91,568)
სხვა ნეტო შემოსავალი და ხარჯი		76,989	(68,630)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		263,651	427,374
საპროცენტო ხარჯი		(86,361)	(83,027)
მოგება საკურსო სხვაობიდან		5,838	2,452
მოგება დაბეგვრამდე		183,128	346,799
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		183,128	346,799

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებუ ლი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი		341,000	1,018,350	1,359,350
წმინდა მოგება		-	346,799	346,799
დივიდენდის გატანა			(205,325)	(205,325)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი		341,000	1,159,824	1,500,824
წმინდა ზარალი		-	183,128	183,128
დივიდენდის გატანა	10		(99,998)	(99,998)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	10	341,000	1,242,954	1,583,954

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
--	------	------

საოპერაციო საქმიანობა

მოგება დაბეგრამდე	183,128	346,799
-------------------	---------	---------

კორექტირებები:

საპროცენტო ხარჯი	86,361	83,027
მოგება საკურსო სხვაობიდან	(5,838)	(2,452)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	158,655	91,568
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	(134,565)	(122,107)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	56,592	26,942
ცვლილება მარაგებში	23,056	(44,053)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	(18,178)	20,869
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში	(1,345)	215,357
ცვლილება გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	(11,932)	(29,458)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

	335,934	586,492
--	---------	---------

საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალების შეძენა	(302,609)	(529,041)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	(47,000)
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციის შემცირება	136,625	-

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

	(165,984)	(576,041)
--	-----------	-----------

ფინანსური საქმიანობა

პროცენტის გადახდა	(86,361)	(83,027)
სესხის აღება	(119,043)	174,156
დივიდენდის გადახდა	(99,998)	(205,325)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

	(305,402)	(114,196)
--	-----------	-----------

ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა	(135,452)	(103,745)
-----------------------------------	-----------	-----------

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	199,193	302,938
---	---------	---------

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	63,741	199,193
--	--------	---------

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მედ პროჯექტი დაფუძნდა 2011 წელს. კომპანიის მისამართია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N107, ბ18 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400028233

კომპანიის მმართველ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო და პარტნიორთა კრება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამედიცინო ჟანგბადით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი: ალექსი ჩინჩალაძე, პ.ნ 01006005969.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-16-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ

ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	2-4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8
სატრანსპორტო საშუალება	5-10
სხვა აქტივები	2-4

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

4.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულს სალაროში.

5. სავაჭრო მოთხოვნები

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი საბალანსო ნაშთები:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	989,248	854,683
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(21,804)	(21,804)
სულ მოთხოვნები	967,444	832,879

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები განხორციელებულია სამშენებლო კომპანიის მიმართ, რომელიც აწარმოებდა მედ პროჯექტისთვის ახალი ქარხნის მშენებლობას.

7. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	85,000	-	85,000
შენობა-ნაგებობები	519,944	73,400	593,344
მანქანა-დანადგარები	707,997	225,481	933,478
ოფისის აღჭურვილობა	4,325	1,400	5,725
ავეჯი და სხვა ინვენტარი	9,801	65	9,866
სატრანსპორტო საშუალება	201,055	525	201,580
სხვა აქტივები	12,599	1,738	14,337
	1,540,721	302,609	1,843,330

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	დამატება	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	-	-	-
შენობა-ნაგებობები	18,435	31,911	50,346
მანქანა-დანადგარები	306,097	110,446	416,543
ოფისის აღჭურვილობა	2,902	5,473	8,375
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6,535	1,634	8,169
სატრანსპორტო საშუალება	173,846	8,525	182,371
სხვა აქტივები	1,549	666	2,215
	509,364	158,655	668,019

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	85,000	-	85,000
შენობა-ნაგებობები	246,868	273,076	519,944
მანქანა-დანადგარები	497,155	212,828	709,983
ოფისის აღჭურვილობა	1,588	2,737	4,325
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5,997	3,804	9,801
სატრანსპორტო საშუალება	171,444	29,611	201,055
სხვა აქტივები	5,614	6,985	12,599
	1,013,666	529,041	1,542,707

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	დამატება	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	-	-	-
შენობა-ნაგებობები	14,742	3,693	18,435
მანქანა-დანადგარები	231,232	76,851	308,083
ოფისის აღჭურვილობა	668	2,234	2,902
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5,756	779	6,535
სატრანსპორტო საშუალება	166,502	7,344	173,846
სხვა აქტივები	882	667	1,549
	419,782	91,568	511,350

8. სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-19	31-12-18
ვალდებულება ნედლეულისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ	214,012	215,357
სულ	214,012	215,357

9. სესხები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-19	31-12-18
ბანკის სესხი	430,011	554,892
სულ	430,011	554,892

კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი რათა დაეფინანსებინა ახალი ქარხნის მშენებლობა. წლიური საპროცენტო განაკვეთია 13% .

10. კაპიტალი

2018 წელს მოხდა 205,325 ლარის ოდენობის დივიდენდის გატანა, ხოლო 2019 წელს 99,998 ლარის გატანა.

11. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო ჟანგბადის წარმოება. კომპანიას რეალიზაციას ახდენს ბაზარზე. 2019 და 2018 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-19	31-12-18
შემოსავალი ფასდათმობებამდე	1,646,010	1,806,159
ფასდათმობები და უკანდაბრუნებები	(180)	(206)
წმინდა შემოსავლები	1,645,830	1,805,953
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(797,479)	(727,880)
საერთო მოგება	848,351	1,078,073

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-19	31-12-18
ხელფასები და სხვა სარგებელი	259,773	267,606
იჯარის ხარჯი	18,412	30,881
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	15,874	14,183
საწვავის ხარჯი	97,673	92,044
სხვა საერთო ხარჯები	52,959	42,296
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	32,979	22,348
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,228	523
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	4,608	2,769
სულ	483,506	472,650

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2019 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 40,858 ლარი, ხოლო 2018 წელს 34,797 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიას შეუმცირდა რეალიზაცია. თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის ლოქდაუნი მოხსნილია და კომპანია სრული დატვირთვით ფუნქციონირებს.